# ქართული აზრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

> „ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენადაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე."
>
> **აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 20 ნიუ-იორკი. ნოემბერი, 1957 წ. GEORGIAN OPINION NEW YORK, NOVEMBER 1957

ნიუ-იორკი, ნოემბერი 1957.

ჩვენ ძველადაც აღვინიშნავს, რომ რუსული სახელმწიფო მონღოლების მრისხანე ბატონობის დროს ჩამოყალიბდა და მისმა მმართველობამ ისე შეითვისა და შეისისხლხორცა მათგან ტირანია, რომ რუსულ ეროვნულ ტრადიციულ მმართველობის ფორმად გადაიქცა და მათი განშორება, ერთი მეორის დაუზარალებლად ველარ მოხერხდა. დემოკრატიზმი და ლიბერალიზმი რუსული მასისათვის შეუმცნობი ტერმინებია, რომელსაც რუსული ინტელიგენციის მაღალი წარმომადგენლები, ხან გამოშვებით, მსჯელობის დროს ხმარობენ. რუსის ხალხი კი მუდამ იყო და დარჩა თვინიერი და მორჩილი ბუნებისა, რომელსაც ოსტატი „ყურს იქ შეაბამს, სადაც მას სურს". რუსის ხალხს არასოდეს არ გამოუჩენია თავისუფლებისადმი მიძღვნილობის და თავდადების უნარი; ის მუდამ იყო ბრძანების მომლოდინე და აღმასრულებელი.

ამას თავისი ისტორიული ახსნა აქვს. თუმცა, ახსნა და არა გამართლება.

1917 წლის რევოლუციას რუსეთი შეხვდა სრულიად პრიმიტიული მდგომარეობით. ქვეყანაში ჯერ კიდევ ფესვ მაგარი იყო ფეოდალიზმი და მონარქია აბსოლუტურად ფლობდა და ბრძანებლობდა მოსახლეობაზე, რომლის მეტად დიდი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

მეფის დროინდელი პარლამენტი, რომელსაც „დუმას" უწოდებდნენ, არც თავისუფალი და არც სუვერენული ორგანო არ იყო. მისი წევრები ვერ სარგებლობდნენ დეპუტატის შეუვალობის უფლებით და მისი გადაწყვეტილება მეფის რუსეთის მთავრობისათვის სავალდებულო არ იყო. მისი არსებობა მთლიანად იყო დამოკიდებული მეფის გუნებ-განწყობილებაზე.

თებერვლის და შემდეგ ოკტომბრის სისხლიანი რევოლუციის მიუხედავათ, თანამედროვე რუსეთიც ვერ გაშორდა მეფის რუსეთის მმართველობის ტირანულ ფორმას. მეფის რუსეთის მსგავსად, საბჭოთა რუსეთსაც აქვს საკანონმდებლო ორგანო, მაგრამ მისი უფლება „დუმისაგან" ბევრად არ განსხვავდება. თანამედროვე რუსული პარლამენტი ისევეა დამოკიდებული კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის გუნებგანწყობილებაზე, როგორც „დუმა" იყო მეფისაზე.თანამედროვე რუსული პარლამენტის დეპუტატები ისევე თრთიან და ჰკანკალებენ გენერალური მდივნის წინაშე, როგორც „დუმის" წევრები მეფის წინაშე. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ „დუმაში" ზოგიერთი „თავზე ხელ აღებული" დეპუტატები არ ერიდებოდნენ რეპრესიებს (მკითხველმა გაიხსენოს ი. წერეთლის, ნ. ჩხეიძის და სხვათა გამოსვლები) და გაბედულად ამხელდნენ მეფის რუსეთის მმართველობის მრისხანებას და მწვალებლურ მეთოდებს, ხოლო რევოლუციის შემდეგ, ეტყობა ამგვარი „თავზე ხელ აღებული" რევოლუციონერები აღარ იბადებიან და თანამედროვე რუსეთის პარლამენტის ერთად ერთი მოვალეობაა გენერალური მდივნის მიერ წარმოდგენილი პროექტები ერთ ხმად დაამტკიცოს და საბჭოთა აგრესიული პოლიტიკის „ისტორიული აუცილებლობა" აღიაროს.

ვიმეორებთ: რუსულ მასას თავისუფლებისადმი და დემოკრატიულ - ლიბერალური პრინციპებისადმი ლტოლვა და ტრფიალი, რუსეთის ისტორიის არც ერთ ეპოქაში არ გამოუჩენია. ის თვინიერად მონობდა და მორჩილებდა მეფის მრისხანე რეჟიმს, თავისი „ოხრანკითა და ჟანდარმერიით", როგორც მორჩილობს და ემონება ბოლშევიკურ ბარბაროსულ ტირანიას.

მკითხველი ძალა უნებურად გაიფიქრებს 1917 წლის თებერვალ-ოქტომბრის რევოლუციაზე, როდესაც რუსის ხალხმა დიდი ენერგია და უნარი გამოიჩინა. ამისათვის საჭიროა ორიოდე სიტყვა ამ მოვლენაზეც ითქვას.

თებერვალი უსისხლო რევოლუცია იყო ლა აქ „რევოლუციონერებს" არაფერი სათქმელი არა აქვთ. ომში დამარცხებული, დაქანცული და ეკონომიურად სასოწარკვეთილობაში მყოფ ქვეყნის გამოსავალი ნიკოლოზ მეორემ ტახტიდან გადადგომაში ჰპოვა. ჯერ ლვოვის, ხოლო შემდეგ კერენსკის დროებითი მთავრობა უძლური აღმოჩნდა ხალხისათვის ახალი სიტყვა ეთქვა დ მისი ტკივილების მალამო მოეძებნა. ანარქიამ მოიცვა მთელი რუსეთი და ეკონომიურმა კრიზისმა თავის განვითრების კულმინაციას მიაღწია. აი, ამ პერიოდში გაისმა ლენინის ხმა: ზავი და პური! ცარცვეთ ნაცარცვი! ეს გადაიქცა იმ ძალად, რომელსაც რუსის ხალხმა მაგრად ჩასჭიდა ხელი და აღარავის დაანება. აქ კუჭმა გადასწყვიტა საკითხი და იდეა არაფერ შუაში იყო. ხოლო როდესაც ლენინმა თავისი საქმე გააკეთა და გამარჯვება დაიმკვიდრა, მან ისევ პოლიციურ-ტოტალიტარული რეჟიმი დაამყარა და მას უწოდა „პროლეტარიატის დიქტატურა". რუსული ბუნების საუკეთესო მცოდნე ლენინმა ამით, რუსის ხალხს ეროვნულ-ტრადიციული რეჟიმი დაუმყარა. ამით დასრულდა რუსის ხალხის „რევოლუციონური" ბუნების გამომჟღავნება და თავისუფლებისადმი მისწრაფება.

მეორეს მხრივ რუსი კეთილი, მიამიტი, მომთმენი და ყველაფრის ამტანია. თავისი თვინიერი, უინიციატივო ბუნებით შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს მას შინაგანი დისციპლინაც აქვს, რადგან უაღრესად მორჩილი და პატივისმცემელი არის ავტორიტეტის და აფასებს „ოფიციალურ ღმერთებს".

თავის დროზე ისინი წარბშეუხრელად იხოცებოდნენ „მეფისა და სამშობლოსათვის", თუმცა, როგორც რევოლუციის დროს გამოირკვა, მათ არც მეფე სწამებიათ და არც სამშობლო. შემდეგ ასეთივე ენტუზიაზმით იხოცებოდნენ სტალინისათვის, რომლის „კულტი" ხრუშჩოვის ერთი შებერვით საპნის ბუშტივით გასქდა და ვერც ერთმა მათგანმა ვერ გაბედა „შეუმცდარი" ბელადის დაცვა. დღესაც ასეთივე თვინიერობით მორჩილობენ ლაზღანდარა ხრუშჩოვს, როგორც ხვალ მის შემცვლელს შესძახებენ ვაშას.

რუსის ხალხს აკლია კრიტიკის უნარი, რომლითაც ხასიათდება დასავლეთის ხალხი. რუსეთში ყველაფერი სჯერათ რასაც იმ პერიოდში გაბატონებული წრე, ან პიროვნება იტყვის. დასავლეთის მოქალაქეს კი არავისი არაფერი სჯერა, ის ყველაფერს კრიტიკული თვალით უყურებს და რა ის თვით დააჯერებს თავს, მაშინ სხვის დასაჯერებლადაც არ დაზოგავს თავს. ასეთია თავისუფლებისათვის ბრძოლებში დავაჟკაცებულ ხალხის ფსიქოლოგია. სწორედ ეს, თავისუფლებისათვის ბრძოლის ტრადიცია აკლია რუსის ხალხს და აქედან წარმოსდგება მისი მორჩილი ბუნება.

ზოგიერთი დასავლეთელი მეთვალყურის აზრით, კრემლის საზავო და მშვიდობიანობის პროპაგანდას რუსის ხალხი არ იჯერებს და ის მიაჩნია საბჭოთა პოლიტიკის ერთ დარგათ. ეს რუსის ხალხის ბუნების უცოდინარობაა, რომელიც სერიოზულ მდგომარეობაში შეიძლება გახდეს მეტად საფათერაკო. საკმარისია ხვალ კრემლის ბატონებმა გასცენ ბრძანება, „მშვიდობიანობა და ხალხთა შორის მეგობრობა" მოითხოვს ორიოდე ატომური ყუმბარა დასავლეთში ჩავაგდოთო, რომ რუსის ხალხმა ეს ოფიციალური ვერსია მიიღოს და აბჯარი აისხას. ამის მჭერმეტყველური მაგალითი მოგვცა უნგრეთის ტრაღედიამ. რუსის ჯარის კაცები ხედავდნენ, რომ მათი ტანკები სრესავდნენ არა „ფაშისტებსა და კაპიტალისტებს", როგორც კრემლის ბატონები ამტკიცებდნენ, არამედ უნგრელ მუშას, გლეხს, ინტელიგენტს, ერსა და ბერსა და უნგრეთის მთელ პროგრესიულ ძალას. მაგრამ ეს თვინიერი, მორჩილი და კეთილი ბუნების რუსი მაინც სრესდა და ჰკლავდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ბატონმა ასე უბრძანა და თავისი ტრადიციული თვინიერობით მან ეს ოფიციალური ვერსია მიიღო და შეასრულა...

ამიტომ არის განწირული იმ გულუბრყვილო მოაზროვნეთა იმედი, რომლებიც ფიქრობენ ან ბოლშევიზმის გალიბერალებას, ან რუსის ხალხის ამოძრავებას და შინაგანი რევოლუციის საშუალებით ტირანულ-მწვალებლური რეჟიმის დამხობას.

ამ გვარად წარმოშობილი ხალხი, ამ გვარი თვინიერი ფსიქოლოგიის, როგორც რუსია, ასე იოლად ვერ განიტვირთება საუკუნეებით დამუშავებული თვისებებისგან და უცებ ვერ გადავა დემოკრატიულ გარემოცვაში.

## დიდი ილიას ხსოვნას!

**1907 წელი, იყო წელი ჩვენი ერის საშინელი ხოცვა-ჟლეტისა, დაგვირგვინებული მისი უდიდესი შვილის და ჭირის უფლის ილია ჭავჭავაძის ულვთო მკვლელობით...**

**ილია იყო განგების მიერ მოვლენილი ძალა ქართველი ერის სახსნელად. იმ ერის რომელსაც ჰკლავდნენ უწყალოდ და მას კი სიცოცხლე სწყუროდა.**



ილია ჭავჭავაძე
1837 — 1907

**შეშურდა განგებასაც და ადამინსაც ჩვენი ბედის ვარსკვლავის მოვლინება და ასე უსინიდისოდ მოგვტაცეს ის.**

**ამ საშინელმა აქტმა მთელი ერი ფეხზე დააყენა და ისტორიაში გაუგონარი გლოვითა და ზარით მიაცილა ის მის საუკუნო განსასვენებელს.**

**ილიას სიცოცხლე იყო ნიშანი ჩვენი ერის სიცოცხლისა და თავისუფლებისა, ხოლო მისი უწყალო სიკვდილი, გახდა თავდები მისი უკვდავებისა.**

**ილიას წამებულმა სიკვდილმა გამოაფხიზლა ქართველი ერი და ნათლად დაანახა მტერი და მოყვარე. აგრძნობინა მას, რომ მისი თავისუფლება, სიცოცხლე და ბედნიერება, დამოკიდებულია მხოლოდ მის შვილთა სულგრძელობაზე, მათ მხნეობაზე, მათ სოლიდარობაზე და საკუთარი სიცოცხლით გაღებულ მსხვერპლზე. ისე, როგორც იესო ნაზარეველი ჯვარს ეცვა, რათა კაცთათვის ცხოვრება მიენიჭებინა, ილიამაც საკუთარი სიცოცხლე მიუტანა ზვარაკად ერის დიდებას.**

**დღეს, როდესაც სრულდება ნახევარი საუკუნე მისი ჩვენგან სამუდამო განშორებისა, ჩვენ, მის შვილთ, გვმართებს მოვიგონოთ ეს ტრაღიკული წამების დღე; განვიმსჭვალოთ ილიას გრძნობებითა და ზრახვებით, და მით პატივი მივაგოთ იმ იდეალს, რომელსაც შეეწირა ეს დიდი ადამიანი...**

**ჩვენო დიდო ილია! თუ შენი სიცოცხლე მტერს მოსვენებას არ აძლევდა, სიკვდილით სამუდამო ლახვარი ჩაეცი მას გულში. დღეს მტერმაც კი იგრძნო შენი ძალის სიდიადე, შენი მღელვარე და დაუცხრომელი სულის კაეშანი მარადიული და წმინდა იდეალისა. ისიც ქედს იხრის შენი წმიდა სახელის წინაშე და მოწიწებით აღიარებს შენს დიდს ამაგს, ქართველი ერის ბედნიერებისათვის გაწეულს.**

**წავიდნენ დრონი, კიდევ განვლენ მრავალნი, განქრებიან ბოროტნი ძალნი, დაითრგუნებიან ჭეშმარიტების ძალით, შენ რომ გვიქადაგებდი; შენს მიერ გაპოხიერებულ ნიადაგზე ქართველი ერის სულისა წარმოიშვებიან ახალი თაობანი, დაიზრდებიან და შემუსრავენ იმ ძალას, რომელიც შეეხო შენს წმიდა სხეულს.**

**შენი ანდერძი აღსრულდება! ერთ დღეს აღმოხდება ბაზალეთის ტბის ძირიდან ჭაბუკი ფარ-ხმალიანი, წაგვიძღვება წინ და შენს შეურაცხყოფილ დედა სამშობლოს გამოჰგლეჯს მტერს ხელიდან.**

**უზენაესს ვსთხოვთ, რომ ბრწყინვალე, შარავანდედით მოსილი სული გახდეს მანათობელ ლამპრად ჩვენი სულისა და წინამძღოლად ჩვენი მოქმედებისა!**

**სამშობლოს მოშორებულნი, სიმბოლიურ ამბორს ვუყოფთ შენი წმიდა საფლავის დაცრემლილ კალთებს. პირობას გაძლევთ, რომ უანგაროდ მივიტანთ ჩვენს თავს სამსხვერპლოზე იმ იდეალისა, რომლისთვისაც განიგმირა შენი მაღალი შუბლი!..**

## ორი დიქტატორის შეხვედრა.

გასულ აგვისტოში, ხრუშჩოვ-ტიტოს შეხვედრის გამო, ერთი ევროპელი ჟურნალისტი სწერდა: „რა უნდა ვიფიქროთ ხრუშჩოვ-ტიტოს შეხვედრაზე, ისიც რუმინიაში, საიდუმლოდ შემონახლ ადგილას"-ო?

ჩვენის აზრით, მართლაც, არც ქართული და არც საერთაშორისო თვალსაზრისით, არ არის მნიშვნელობას მოკლებული ამის ამოცნობა.

ამ შეხვედრას, ცხადია, თავისი შორეული მიზანიც ექნებოდა და უახლოეს დროში განსახორციელებელი ამოცანაც. გულუბრყვილობად მიგვაჩნია ზოგიერთი ევროპელი ჟურნალისტის მოსაზრება, თითქოს საბჭოთა კავშირი საკმარისად დიდი და ძლიერი იმპერიაა, რომ პატარა იუგოსლავიას თავი გაუყადროს და მასთან ერთად შორეულ, თუ ახლობელ ამოცანებზე იმსჯელოს და საერთო გეგმით მოქმედება განიზრახოს.

ის ფაქტი, რომ ხრუშჩოვი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გულმოდგინედ ცდილობს ტიტოსთან დაახლოვებას, ამჟღავნებს, რომ საბჭოთა კავშირისათვის პატარა იუგოსლავიის გადაბირებას უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ხრუშჩოვის მოქმედების ლოღიკა კი გვაფიქრებინებს, რომ ტიტოს გადაბირება არის მოსკოვის პოლიტიკური პროგრამის ერთი მუხლი: პროგრამის, რომელზედაც დაშენებულია საბჭოთა კავშირის ურთიერთობა, მის მცირე მოსახლეობიან სატელიტებთან და ყველა ერთად აღებულზე კი გათამაშებულია ხრუშჩოვის დიდი ავანტურა.

ამავე დროს ხრუშჩოვი ამ აქტს გამოიყენებს თავის შინაური კონკურენტების, „სტალინელების" დასამარცხებლად. ხრუშჩოვი შეეცდება ამ საქციელს მისცეს თავისი შემომქმედებლობითი ნიჭის და უნარის გამომჟღავნების ხასიათი და ამით თავი განიმიჯნოს და განირჩიოს სტალინისაგან.

სტალინის მიერ ტიტოს განრისხვა და გაძევება არ იყო მხოლოდ ორი ქვეყნის, ორი მთავრობის ერთი მეორისადმი განდგომა, არამედ ორი მართლმორწმუნე კომუნისტური პარტიის ერთი მეორისაგან განშორება და მათში მტრობის ჩამოგდება. ხრუშჩოვი, თავის უპირატესობის დასამტკიცებლად, ცდილობს აღადგინოს დაშლილი და გაპობილი პარტიული ერთობა და, თუ ეს მოახერხა, არა მარტო იუგოსლავიის კომუნისტური პარტია, არამედ თვით იუგოსლავიაც მოაქციოს მოსკოვის გავლენის სფეროში. ამ მიზნის მისაღწევად ის „მსხვერპლსაც" არ ერიდება და ტიტოს ამბიციების დასაკმაყოფილებლად მზად არის შეხვედრა იქ მოაწყოს, სადაც პატარა იუგოსლავიის დიდი ამბიციების დიქტატორი მოისურვებს.

ხრუშჩოვ-ტიტოს შეხვედრის ოფიციალური განცხადების თანახმად, მათი შეთანხმება იმ საფუძოველზე მომხდარა, რომ ხრუშჩოვმა თურმე აღიარაა რუსულ კომუნიზმის და სატელიტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების მეთაურობის პარიტეტული უფლება. ამ განცხადების მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოგებული არიან სატელიტური ქვეყნების კომუნისტური პარტიის მეთაურები, რადგან რუსული კომუნიზმის ლიდერებთან პარიტეტული უფლება, მათ ნაწილობრივ მაინც ათავისუფლებს მათ შორის დღევანდლამდე არსებულ ბატონყმური ურთიერთობისაგან. მაგრამ აქ ბუნებრივად ისმის საკითხი: რამდენ ხანს გაგრძელდება ეს მეგობრული ურთიერთობა? რამდენად შეასრულებს მოსკოვი ამ „აღიარებას" და გავრცელდება თუ

არა ეს პრინციპი რუსეთის მიერ უკვე დაპყრობილ და „საბჭოთა სამოთხეში“ შეთრეულ ერებზე?

რამდენათაც ხრუშჩოვს თავისი ლაზღანდარა და რუსული კომუნიზმის მუხანათური ბუნება ნებას მისცემს, ის შეეცდება, ტიტოსთან ეს შეთანხმება ლოიალურად დაიცვას, რადგან ამ ორი ქვეყნის კომუნისტური პარტიების ფორმალური ერთობისათვის და მათ შორის მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად ეს წინასწარი პირობაა; წინაალმდეგ შემთხვევაში ხრუშჩოვი ტიტოს ვერ დააბამს, როგორც ვერ დააბა ის, უდიდესი ავტორიტეტის მქონე სტალინმა. ტიტომ თავისი ამბიციების მაქსიმალური დაკმაყოფილების სურვილი უკვე დიდი ხანია გამოამჟღავნა და მას არავითარ შემთხვევაში აღარ დასთმობს. ეს ხრუშჩოვისთვისაც ნათელია და ამიტომ იძულებული იქნება, დრო და ჟამამდე, ფრთხილად იმოქმედოს.

სულ სხვაა უკვე დაპყრობილ ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხი, სადაც რუსეთი უკვე დიდი ხანია ბრძანებლობს, შიგ თავისი ჯარი უყენია და თავისი ყურმოჭრილი ყმებიც უეჭველია ეყოლება. თუმცა არ შეიძლება ხრუშჩოვიც არ გრძნობდეს ბატონყმური ურთიერთობის უხერხულობას, რაც სტალინის მიერ არის დამყარებული და რისგან გამიჯვნასაც მოსკოვის ახალი მფლობელი ცდილობს, ამიტომ ვუშვებთ შესაძლებლობას, რომ ის დაპყრობილ ქვეყნებთან ურთიერთობის ახალი ფორმების ძიებაში იყოს. მეორეს მხრივ, შეუძლებელია კრემლი ანგარიშს არ უწევდეს არა რუს ერებში გამეფებულ განთავისუფლების სულისკვეთებას და მათთან უთანხმოების შემთხვევაში უნგრეთის ტრაღედიის განმეორების ცდის სახიფათო შედეგებს. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება ხრუშჩოვი იქაც დათანხმდეს ფორმალურად „პარიტეტული უფლების“ პრინციპს, ხოლო ისე, რომ მოსკოვის ინტერესები არაფრით შეილახოს; მისი გავლენა არ დასუსტდეს და „მეთაურის და უფროსი ძმის“ როლი არ დაეკარგოს. ეს ტექნიკურად არც ისე ძნელად შესასრულებელი ამოცანაა. პირველი ამის გარანტია, დაპყრობილ ქვეყნებში მყოფი მოსკოვის სამხედრო ძალა იქნება; ხოლო თუ ვინმე ამხედრდა და პარიტეტული პრინციპით სარგებლობა მოინდომა, მას იმავე ქვეყნის, მოსკოვის მონას დაუპირდაპირებენ, ამხედრებულს „კაპიტალიზმის და დასავლეთის იმპერიალიზმის“ აგენტად გამოაცხადებენ და ამით დასრულდება პარიტეტული უფლების გამოყენების ცდა.

გარდა პარიტეტული უფლებისა, ხრუშჩოვმა ტიტოს შესთავაზა „თვითარსებობა და თანამშრომლობა“. იმ ავტონომიური უფლებებით, რომელსაც იუგოსლავიის დიქტატორი მტკიცედ ეჭიდება და არავის უთმობს. რაში უნდა გამოიხატოს ტიტოს ავტონომიური უფლება იდეოლოგიურ თანამშრომლობაში, სავსებით ნათელი არ არის. საერთაშორისო ასპარეზზე კი ტიტოს ზრახვები ცნობილია: ის დიდი ხანია ოცნებობს ბალკანურ-დანუბის ქვეყნების ფედერაციაზე, რომლის სულის ჩამდგმელი და მამოძრავებელი ბელგრადი უნდა იყოს. ეს არის უდიდესი ამბიციების მქონე დიქტატორის უტკბილესი სიზმარი, რომლის განხორციელებას, დღევანდლამდე, ხელს უშლიდა კრემლის დიპლომატია და ენერგიულად ეწინაალმდეგებოდა თვით ბალკანეთ-დანუბის ქვეყნების ეროვნულ - სახელმწიფოებრივი ინტერესები. ტიტოს ანგარიშით, ხრუშჩოვის გულის მოგება, ამ ორ წინაალმდეგობებიდან ერთს, ყველაზედ უფრო ძლიერს და ენერგიულს, კრემლს, თავიდან იშორებს და მეორეს. თვით ბალკანეთ- დანუბის ქვეყნების ურჩობას, იმავე ხრუშჩოვის დახმარებით იოლად დასტეხავს.

ასეთია ორი დიქტატორის შინაგანი მისწრაფებანი, რომელთა მისაღწევად და ორივეს ამბიციების დასაკმაყოფილებლად საჭიროა მათი დაზავება და დამეგობრება.

ხრუშჩოვის ამ შეხვედრას სულ სხვა მნიშვნელობა აქვს მისი პიროვნებისათვის. მან გვერზე მიაგდო საბჭოთა კავშირის ოფიციალური წარმომადგენელი, მთავრობის თავმჯდომარე ბულგანინი და თვითონ, პარტიის მდივანი, შეხვდა უცხო ქვეყნის მეთაურს და მასთან, გარდა იდეოლოგიური, სახელმწიფოებრივი ხასიათის საკითხებზეც იმსჯელა და შეთანხმებასაც ხელი მოაწერა.

არის თუ არა ეს იმის ნიშანი, რომ ბულგანინის ვარსკვლავი უკვე ქანაობს და ხრუშჩოვი სტალინის გზით მიდის?

ვ. სანგულია.

## საბჭოთა მეურნეობა.

( იქაური პრესის მიხედვით )

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ კრემლის ყოველი დადგენილება და გადაწყვეტილება, თითქოს ხალხის ეკონომიური ცხოვრების გასაუმჯობესებლად, მხოლოდ პროპაგანდაა, უცხოელების თვალის ასახვევად და მოსატყუებლად. ვამბობთ უცხოელების, ვინაიდან ადგილობრივი მოქალაქის, „დადგენილებით“, დაკმაყოფილება და მისი თვალის ახვევა შეუძლებელია. ამგვარი საპროპაგანდო ხასიათისაა ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 4 ივნისის დადგენილება, „კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გაუქმების“ შესახებ. საბჭოთა დადგენილება, რომ მართლა ცხოვრებაში ტარდებოდეს, მაშინ აღარ დასჭირდებოდა ხელისუფლებას, ამ დადგენილების შემდეგ, ზომების მიღება და „გაუქმებული სავალდებულო ჩაბარებისათვის“ თავისი მოქალაქის, ან სამეურნეო ორგანიზაციების დასჯა და სამეურნეო პროდუქტების ძალით წართმევა.

გაზეთ „კომუნისტის“ 18 სექტემბრის ნომერში ვკითხულობთ: „პარტიის კაჯრეთის რაიკომმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სათანადო პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობა ვერ გააჩაღეს მასებში პარტიისა და მთავრობის ამ დიდ მნიშვნელოვანი დადგენილების ახსნა - განმარტებისათვის. სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა მეურნეობებს დიდი ჩამორჩენა აქვთ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის 1957 წლის დავალებათა შესრულებაში. 1 სექტემბრისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარების გეგმის შესრულებას აკლია 8.000 კილოგრამი ხორცი და 4.000 ლიტრა რძე.“ (მკითხველს მოვაგონებთ, რომ „სავალდებულო ჩაბარებაზე“ ლაპარაკია სექტემბერში, ე. ი. გაუქმებიდან მესამე თვეს. ნუ თუ თავისუფალი მოაზროვნე ნორმალურად არ მიიჩნევს, რომ თუ კი „სავალდებულო ჩაბარება“ გაუქმებულია, მაშინ მას აღარავინ მოსთხოვს და შემოსავალს თავისი ნება-სურვილისამებრ მოიხმარს?)

მაგრამ გავყვეთ კომუნისტურ ლოღიკას. იმავე გაზეთის იმავე ნომერში ვკითხულობთ: „ასეთი შეწყნარებული ჩამორჩენა იმით არის გამოწვეული, რომ კაჯრეთის რაიონის პარტიული ორგანიზაციები სათანადო პასუხისმგებლობას არ გრძნობენ (გაუქმებული სავალდებულო ჩაბარების მიმართ? ახირება სწორედ ეს არის. რედ.) მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვისათვის. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

„სოფელ მელაანის კოლმეურნეობა „ლენინის გზაში“ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება და შესყიდვა თვითნებაზეა მიშვებული, ხოლო პირველადი პარტიული ორგანიზაცია გვერდზე უდგას ამ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეს. ცალკეული კომუნისტები სოციალისტურ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის ბრძოლის არა თუ ორგანიზატორები არიან, არამედ თავად ითვლებიან ურჩ ჩამბარებლებად. გიორგი ჯავახიშვილი საკოლმეურნეო შრომის დეზერტირია. წელს მას კოლმეურნეობაში არც ერთი შრომა დღე არა აქვს გამომუშავებული. ამასთან ერთად ის ურჩი გადამხდელიც არის. სავალდებულო ჩაბარების ანგარიშში მას დღემდე არ ჩაუბარებია ხორცი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები. მეძროხეობის ფერმის გამგას კომუნისტ ვ. იმერლიშვილს ორი წელიწადია არ შეუსრულებია თავისი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე.

ასევე ურჩი ჩამბარებელია კომუნისტი ს. ასკილაშვილი.“

ამ ამონაწერიდან ნათლათა სჩანს თუ რა ფასი და მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მთავრობის და მათი პარტიული ცენტრალური კომიტეტის საჯარო გადაწყვეტილებებს და დადგენილებებს, თითქოს ხალხის კეთილდღეობისათვის მიღებულს.

ყოველი მათი გადაწყვეტილება და მოსახლეობის ეკონომიური გაუმჯობესების ცდას ორმაგი საპროპაგანდო მნიშვნელობაააქვს. პირველი; დასავლეთის მიამიტ მეთვალყურეს თვალი აუბას, კრიტიკის უნარი წაართვას და აყვიროს; საბჭოთა კავშირში ყვალაფერი გამოიცვალა და „კოლექტიური დიქტატურა“ თავის მოქალაქის ეკონომიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ზრუნავსო. მეორე მისი განზრახვაა, რომელსაც არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს კრემლი, ამ ცხოვრებაში გაუტარებელი, საპროპაგანდო დადგენილებებით მეტი მასალა მისცეს ჩეკისტ მიხაილოვს და მის ქართველ აგენტებს, რათა უნებისყოფო, ზარმაცი და იდეას მოკლებული ემიგრანტები გადაიბირონ. ამ გზით ცდილობს ემიგრაციის გატეხვას და თავისუფალ ქვეყნებში ანტიკომუნისტური პროპაგანდის მეტად მხნე და ენერგიულ ორგანიზაციების დაშლას.

დონი.

## † იოსებ კემულარია.

**გარდაიცვალა ჩვენი დამსახურებული საზოგადო მოღვაწე იოსებ კემულარია. ჩვენი რედაქცია გამოსთქვამს ულრმეს მწუხარებას და სამძიმარს უცხადებს მის დამწუხრებულ ოჯახს, ნათესავებსა და მეგობრებს.**

## ყავა ემინ ფაშასთან

**(მოგონებათა რვეული: „საგულისხმო შეხვედრები.“)**

სუსხიან ზამთარს, 1926 წ. თებერვალში, მე და ჩემი „სანჩო პანჩო“ ბორჩალოელი მამედ ალი ეიუბზადე მივემგზავრებოდით მარხილით არტაანიდან ყარსამდე. გზად აგვიტყდა საშინელი ქარბუქი. ჩვენსა და ცხენების თავებს წავაფარეთ რაც კი გვქონდა თან ზედმეტი სახურავი, რომ არ დამხვრჩალიყავით თოვლის ბუქისაგან. საღამოს ჟამს ძლივს მივაღწიეთ გაყინულ ყარსამდე. ჩამოვხტით ერთ ლეკის „ხანში“ (სასტუმრო). თბილმა ოთახმა და ცხელმა ჩაიმ ნახევრად წამხრჩვალი სული და გაშეშებული ტანი მალე გამოგვიბრუნა და გაგვაცოცხლა.

აქვე მოგველოდებოდა ყარსის ქემალის პარტიის მეთაური, ჩემი ძველი ნაცნობი, ჩამომავლობით კავკასიელი, რომელმაც მხურვალე მოსალმების შემდეგ მაცნობა რომ ყარსის ოლქის მართველს ემინ ფაშას სურს ჩემი გაცნობა.

შეხვედრა ემინ ფაშასთან, ჩემთვის, ქართველისათვის ძალიან სასურველი იყო. მესამე დიდი პიროვნება მუსტაფა ქემალის თანამშრომელთა რიგში. ემინ ფაშას ჩაებარა, მოსკოვის მიერ ახლად გადმოცემული თურქებისათვის მთელი ყარსის ოლქის სამხედრო მართველობა. მის პიროვნებას დიდი გავლენა ჰქონდა ანატოლიაში.

— ნეტა რა კითხვებს დამისვამს ემინ ფაშა და რანაირად ველაპარაკო ამ დიდ თურქს —ვეკითხებოდი ჩემს მესაიდუმლე ჰქვიან მამედ ალის.

— თურქებმა ასე იციან ლაპარაკში... თავიდან აგიხვევ-დაგიხვევენ და რაც სურთ გაიგონ, სულ ბოლოს გამოთხოვებისას დაგეკითხებიან. თქვენი ყურადღებაც ამ ბოლოს მიაბჯინეთ... უპასუხეთ თქვენებურად, თამამად და მოურიდებლად. გამიგია რომ ემინ ფაშა გულახდილი კაცია და მოეწონება თქვენი ასეთივე პასუხები — მამხნევებდა აუდენციის წინა დღეს ჩემი მამედი.

მეორე დილას სრულ 11 საათზე მე და მამედი ვიდექით ყარსის ციხის მთავარ კანცელარიაში. ცოტა ხნის შემდეგ ასკერმა მიგვიპატიჟა ფაშასთან. კარგად გამოწყობილ სამხედრო ტანსაცმელში გერმანული ფორმისა, დაბალი ტანისა და ჩამოკვეთილი მხედრული სახისა, ემინ ფაშა წამოდგა ფეხზე და სასიამოვნო ღიმილით მოგვესალმა და ჩაგვსვა სავარძლებში.

— თურქული შეისწავლეთ — მკითხა თავიდან ფაშამ.

— სამწუხაროდ ნაკლებად, ჩემი მეგობარი მამედ ალი მომეხმარება ფაშავ.

— მოხარული ვარ თქვენთან გაცნობისა. ჩვეხი პარტიის აქაურ მეთაურისაგან თქვენზე ბევრი კარგი რამ გავიგე. მხოლოდ ამიხსენით გეთაყვა, როგორ მოხდა რომ აქამდის არ ვიცოდი თქვენი ყოფნა ჩემს ვილაიათში. მე, მისმა მართველმა, ვიცი რომელი კაცი სად სცხოვრობს და რამდენი ქათამიც აბადია.... თქვენ, ქართველი, თურმე ექვსი თვე აქ ბინადრობთ და მე ეს გამომცდა!

— პატივცემულო ფაშა, თქვენ დიდ უფროსს ფევზი ფაშისათვის, რომელმაც ნება დამრთო აქეთკენ მოსვლისა და ცხოვრებისა, პირობა მიცემული მქონდა რომ საიდუმლოთ მეცხოვრა, რათა არ ამეშალა ჩემი გულისათვის თქვენი დღევანდელი დამოკიდებულება მოსკოვთან.

— აი, ეს მესმის! ქართველები ყოჩაღი ხალხია. იციან საქმიანობა. თქვენ კავკასიელ მეზობლებზე, მთიელებზე და აზერბეიჯანელებზე კი რა მოგახსენოთ. მათმა კაცებმა აქ ქვეყანა შემიყარეს. მტერიც და მოყვარეც აგვიმხედრეს — ჩიოდა ყოვლის შემძლე ფაშა.

შემოგვიტანეს ყავა. ემინ ფაშამ მომაწოდა კაკლის კოლოფით თურქული პაპიროსები.

— თუ საიდუმლო არ არის, ერთი მიბრძანეთ, რა მიზანს ემსახურება თქვენი აქ მოსვლა? — უცაბედად დამეკითხა ფაშა.

— კავკასიელ ერების ერთმანეთთან დაკავშირების საერთო მიზნის მისაღწევად.

— კარგი საქმეა. ეს რომ წინათ მოგეწყოთ, ალბათ თქვენ ქვეყნებს არ დაჰკარგავდით — სთქვა მან.

— მართალია ფაშავ. მაგრამ ორი დიდი მეზობელი ქვეყანა ამას მუდამ ეწინააღმდეგებოდა და ხელს უშლიდა.

— რომელი ქვეყნები?!

— რუსეთი და ოსმალეთი!

— თუ ასეა რომ ჩვენც გიშლიდით ხელს, მაშ რატომ გამოგიშვათ აქეთ ჩვენი სამხედრო შტაბის მოთავემ ფევზი ფაშამ?

— შესაძლებელია იმიტომ, რომ დღეს კავკასიაში კვლავ გაბატონდა რუსეთი და მისი ბოლშევიკური აზრები და საქმეები ემუქრებიან თქვენს ქვეყანასაც.

— მაგრამ, მაინც, ჩვენ, თურქებს რაში გვედება ბრალი?

— თქვენი მთავრობის გავლენით აზერბეიჯანელებმა, იმის მაგიერ რომ ჩვენ, ქართველებს ამოგვდგომოდნენ მხარში, 1920 წ., უბრძოლველად შემოუშვეს ბოლშევიკები ამიერკავკასიაში. მთელი ეს უკანასკნელი წლები, როდესაც ბოლშევიკები ფეხს იმაგრებენ საქართველოში და კავკასიაში, თქვენი ემისრები უკრძალავდნენ მთიელებს და აზერბეიჯანელებს ქართველებისათვის მხარის დაჭერას მოსკოვთან ბრძოლაში. ამიტომ ყველა ჩვენი აჯანყებაც წაგებული იქმნა. თურქი ემისრები ეუბნებოდნენ: ქემალის თურქეთი დღეს მეგობრულ კავშირშია ბოლშევიკურ რუსეთთან, თქვენი გამოსვლა ამ კავშირს მოსკოვთან დაგვირღვევს. ეს უკანასკნელი კი მეტად სასარგებლოა თურქთა ახალგაზრდა რესპუბლიკის გამაგრებისათვის. ამასთანავე ქართველები რუსებს კი არ ებრძვიან, არამედ მენშევიკები და ბოლშევიკები ძველ პარტიულ ანგარიშებს ასწორებენო... თქვენ რა შუაში ხართო და სხ.

— არა მგონია რომ ბოლშევიკების შემოსევა აზერბეიჯანში ჩვენი მთავრობის სურვილით მომხდარიყოს, — მორიდებულად და ფრთხილად დააყენა კითხვით ნიშნის ქვეშ ეს ნამდვილი ამბავი ,თურქ ფაშამ.

— რაც შეეხება პროპაგანდას მუსულმანთა შორის კავკასიაში, რაზედაც თქვენა ბრძანებთ, თუ ეს მართალია, დიდ სისულელეს სჩადიან. რა ვუყოთ რომ კავშირში ვართ? ხვალ რომ კვლავ მოგვადგეს თავისი გაუმაძღარი მილიონებით რუსეთი ეს „კავშირი“ ხომ ქარს მიეცემა!? სამწუხარო, სამწუხარო ამბავია — სთქვა ემინ ფაშამ და თავი ჩაღუნა.

მთელ ამ დიალოგს ხან თურქულად და ხან რუსულად სთარგმნიდა გამოცდილი თარჯიმანი მამედ ალი. თვალები უბრწყინავდა მას კმაყოფილებით, როცა უთარგმნიდა ფაშას ჩემ პასუხებს. მანაც ისარგებლა ფაშას დუმილით და თავის მხრივაც მოუყვანა რამოდენიმე მაგალითი ჩემი ნაამბობის დასადასტურებლად. ემინ ფაშამ ხელი ჩაიქნია.

— რა ქვეყნებისაგან შესდგება თქვენი აქ დღეს განწყობილი კავკასიური ანსამბლი? — დამეკითხა ემინ ფაშა.

— საქართველო, აზერბეიჯანისა და მთისა.

— სომხები თქვენთან არ არიან?

— როგორ იქნებიან ჩვენთან, როდესაც თქვენი შიშით რუსებს და რუსეთს ეზიდებიან!?

— მერე რისა ეშინიათ?

— ჯერ იმისა რომ ისეთი საზღვარი შეუქმენით კავკასიის სომხეთს, რომ თქვენი საველე ზარბაზნები დღევანდელ თქვენ საზღვრიდან მთელ სომხეთს ერთს დღეში მიწასთან გაასწორებენ...

— თქვენი ქართული საზღვრებიც ხომ საგრძნობლად შევსწიეთ: წავიღეთ არტაანი, ართვინი და ბათომის გვერდით ვიმყოფებით. მაშ რატომ თქვენც არ ეჭიდებით ბოლშევიკებს? —მომცა მაცდური შეკითხვა ფაშამ და დამაცქერდა.

— გულწრფელად მოგახსენებთ ფაშავ, რომ თუ მომავალში არ გაუსწორებთ საქართველოს საზღვრებს, ისე რომ მართლადაც მან სახელმწიფოებრივად იარსებოს და თქვენც მაგარ ღონეთ გამოგადგეთ, — ქართველებიც ჩაებღაუჭებიან რუსეთს, წითელი იქნება თუ თეთრი...

## მოგონების დღე.

გასული ოქტომბრის 23-ს, **„ნიუ-იორკ მიროერმა“** გამოაქვეყნა წერილი, რომლითაც თავის მკითხველს აგონებდა უნგრელ პატრიოტების აჯანყების წლის თავს.

ჩვენი მკითხველისათვის სანუგეშო იქნება იცოდეს თუ როგორ აფასებს შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრი თავისუფლებისათვის გაღებულ მსხვერპლს.

„დრო გადის, მაგრამ რაც მოხდა ერთი წლის წინ, დღევანდელ დღეს, უკვდავი უნდა იყოს კულტურული ადამიანის მეხსიერებაში და არავინ მისცეს თავის თავს უფლება დააჭკნოს, ან შეამციროს მწუხარება, თავისუფლებისადმი ტრფიალში დაღუპულ მამულიშვილების ტრაღიკული ბედით გამოწვეული.

ეს მოხდა 1956 წლის ოქტომბრის 23-ს, როდესაც უნგრეთის თავისუფლებისათვის მებრძოლები აღსდგნენ კომუნიზმის წინაალმდეგ და ეროვნულ-პატრიოტული მაღალი შეგნების სპონტანური გამოვლინება მხოლოდ მაშინ შესწყდა, როცა საბჭოთა რუსეთის ჯარმა სისხლში ჩაახრჩო ეს კეთილშობილი იდეა და ჩინგის ხანის შემდეგ გაუგონარი მრისხანებით ჟლიტა თავისუფლების მოყვარე უნგრელი პატრიოტები.

საერთო ომის გამოწვევის საშიშროების გამო გაერთიანებულმა შტატებმა ვერ შესძლეს ჯეროვანი დახმარება გაეწიათ უიარაღო (ან ცუდად შეიარაღებულ) აჯანყებულებისათვის.

ამ სახალხო აჯანყების ინიციატორი იყო უნგრელი ახალგაზრდობა, რომელთა გონებას ათი წლის განმავლობაში სწამლავდა კომუნისტური პროპაგანდა, მაგრამ ისინი ვერ დააშორა თავისუფლების იდეას. აჯანყება დამარცხდა...

ამგვარად დღეს არის თავისუფლებისათვის ბრძოლის დღე. ასე განაცხადა ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა ჰარიმანმა და ეს უნდა დაიცვას და შეინახოს თავისუფალმა სამყარომ.

დღეს ეკლესიის ზარები დარეკავენ იმ უნგრელი პატრიოტების საპატივცემლოდ, რომლებიც შეეწირნენ საბჭოთა რუსეთის ტანკებს და ტყვიას.

ჟესტი (ზარის რეკვა) მეტად ლამაზია და და სიმპატიური, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს უფრო დიდი მიზანი და ღრმა დანიშნულება. სამგლოვიარო რეკვა უნდა ისმოდეს გაერთიანებულ ერებში, სადაც ჯერ კიდევ სხედან მკვლელების და მოღალატეებისგან შემდგარი მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც უნგრეთს მართავენ ხალხის ნების ყოფისა და სურვილის წინაალმდეგ.“

## სტაინბეკის მოგზაურობა საბჭოთა კავშირში

„ვინც იხილავს საქართველოს სილამაზეს, მთებს, სიმღერა რომ არ იცოდეს, მაინც დაიმღერებს“. ასე ასახა აკაკი წერეთელმა საქართველოს ლეგენდარული სილამაზე. მართლაც ვინ არ მოუხიბლავს ქართულ ზვიად მთებს, მის ყვავილოვან მინდვრებს და ცას, რომელიც „ყველაზედ უფრო ნათელია და მზე ყველაზე უფრო მხურვალე.“ რომელი ეროვნების, რომელი რჯულის უცხო მოგზაური არ დაუტკბია ამ ქვეყნიურ სამოთხე-საქართველოს! რომელი მოგზაური არ აამეტყველა და აამღერა მისმა კურთხეულმა მიწამ. გერმანელი არტურ ლაისტი იმდენად მოხიბლა საქართველოს სილამაზემ, რომ უკან დაბრუნება აღარ მოისურვა და სამარადისო განსვენების ადგილათაც ტფილისი აირჩია. ქართული დიდ ბუნებოვანებით და სულგრძელობით დამტკბარმა ლაისტმა აღტაცებით წამოიძახა: „მსოფლიოში არ არსებობს უკეთესი სკოლა, ვიდრე ქართული სუფრააო“. მაგრამ ამერიკასთან უშუალო ურთიერთობა საქართველოს არასოდეს არა ჰქონია. ამას თავისი სერიოზული მიზეზებიც აქვს და შეიძლება ერთი მთავართაგანი ისიც არის, რომ საქართველოს თავისუფლად სახელმწიფოებრივი არსებობა სწორედ მაშინ მოსპო მეგობრულად შემოპარულმა „ერთ მორწმუნე“ რუსეთმა, როდესაც ამერიკა, როგორც თავისუფალი სახელმწიფო ყალიბდებოდა. ცხადია ასეთ მდგომარეობაში საქართველო წესიერ ურთიერთობას ველარ დაამყარებდა ამერიკასთან და ამ უდიდესი შემოქმედების ქვეყნისათვის საქართველოც შეუმჩნეველი დარჩა.

ამიტომ უფრო დასაფასებელია ჯონ სტაინბეკი, გამოჩენილი და სახელ მოხვეჭილი ამერიკელი მწერალი, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირში იმოგზაურა და თავისი შთაბეჭდილებები ცალკე წიგნათ გამოსცა. ეს პირველი სერიოზული შრომაა, სადაც მიუდგომელი და დაუინტერესებელი ამერიკელი, ამერიკულ საზოგადოებრივ აზრს აცნობს საქართველოს ნამდვილ რაობას და ქართულ ბუნებას.

„სად არ ვიყავით — ამბობს ავტორი — მოსკოვში, უკრაინაში თუ სტალინგრადში, ყველგან გვესმოდა ჯადოსნური სახელი — საქართველო! ხალხი, რომლებიც არასოდეს არა ყოფილან საქართველოში და არც არავითარი იმედი აქვთ მისი ნახვისა, საქართველოზე ლაპარაკობდნენ დიდის პატივითა და თაყვანისცემითო.“

ბუნებრივია რომ ამის შემდეგ ამერიკელებსაც აღეძრათ სურვილი, ენახათ ეს ლეგენდარული ქვეყანა, მოუთმენლად მოელოდნენ ამ ქვეყნიური სამოთხის ნახვას და თურმე ნახულმა, ყოველგვარ წარმოდგენითი შესაძლებლობას გადააჭარბა. უპირველეს ყოვლისა მათ ტფილისი საკუთარ ქალაქად მოეჩვენათ: „ტფილისი იმდენად ყოფილა შეჩვეული უცხო სტუმრების მიღებას, რომ პირველ დღესვე თავი ვიგრძენით როგორც საკუთარ სახლში და არა როგორც, ვთქვათ, კიევში ან რუსეთის სხვა ქალაქებშიო.“

იგი დიდის ენტუზიაზმით აღწერს საქართველოს მთებს, მინდვრებს, შავი ზღვის თვალწარმტაც ნაპირებს და ტფილისის ძველსა და ახალ უბნებს და ყველგან ჰპოვებს განსაკუთრებულ ეშხსა და სილამაზეს. იხსენიებს ქართველი ერის ქრისტიანობას მე-4-ე საუკუნიდან რომ მოსდევს და ვერც არაბ მონღოლთა, ვერც თურქ-სპარსთა და ვერც რუსულ ბოლშევიზმმა ვერ დაიმონა ის. სტაინბეკს დაუთვალიერებია ტფილისის მუზეუმები, პარკები, საცურაო აუზები. უნახავს ქართული ჭიდაობა, რომლის თავისებურებამ აღაფრთოვანა სტაინბეკი, და არაჩვეულებრივი სინაზით იხსენიებს მამა დავითს და ბოტანიკურ ბაღს. იგი მოგვითხრობს: „ვინახულეთ ბოტანიკური ბაღი, რომელიც ლეგენდარული მე-12-ე საუკუნის დედოფალმა თამარმა ააშენა. თამარ მეფე სახელმწიფო აღმშენებლობის და მმართველობის მაღალი ხელოვანი იყო. მან ააშენა ციხეები, მონასტრები, ამხნევებდა პოეტებს, მწერლებს და მუსიკოსებს. იგი მსოფლიოს ფერია დედოფალთაგანია მსგავსი ელისაბედისა, არაგონიის ეკატერინესი და აკვიტანიის ელეონორასი.“ „საერთოდ ტფილისის მოსახლეობა უკეთ გამოიყურება, ვიდრე საბჭოთა კავშირის დანარჩენ კუთხეებში ხვდებით. აქ ხალხი სავსეა მაღალი სულიერი ღირსებებით; ჩაცმულიც უკეთესად არის და უფრო მხიარული და მიმზიდველია“.

აქ უეჭველად საქმე გვაქვს ეროვნულ ღირსებასთან. მთელ საბჭოთა კავშირში ყველაზედ უფრო მეტად დევნილი და შევიწროვებული საქართველო და ქართველი ხალხი, მაინც განსხვავდება საბჭოთა კავშირის დანარჩენი მოსახლეობისაგან. „რა მისჭირდეს მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“ და სწორედ ქართველმა ერმა ეს გონივრული გონება ამ ყოვლად არა ადამიანური რეჟიმის დროს გამოიჩინა და ის მინიმუმი, რომელიც ბოლშევიზმმა მას ველარ წაართვა, მაქსიმალურად გამოიყენა და ქართულმა შემოქმედებითმა ნიჭმა მაინც გამოჟვენა და სტაინბეკი განაცვიფრა. საქართველოს რომ ჰქონოდა ნორმალური განვითარების შესაძლებლობა და მისი შემოქმედებითი უნარიანობა რუსული ბოლშევიზმით არ იყოს შემოსალტული, ცხადია სულ სხვა იქნებოდა მისი გაქანება და მიღწევები.

„დასავლეთის მთებიდან გამოჩნდა ბუმბერაზი მთვარე — განაგრძობს სტაინბეკი — რომელმაც ქალაქი უფრო მისტერიულად აქცია და სიძველის ბურუსში გახვია. მთვარის წინ ეფარებოდა დიდ ქედზე წამომდგარი რუხი ფერის ციხე-სიმაგრე“. ტფილისის ღამის სიმშვენიერით აღტაცებული ავტორი ძველ ეპოსში გადავარდნილა და ამბობს: „თუ კი სადმე, მსოფლიოს რომელიმე კუთხეში, მართლაც არსებობენ უკვდავ სულთა აჩრდილები, ეს ყველაზე ძლიერად სწორედ აქ უნდა იყოს და თუ თამარ მეფის აჩრდილი სადმე არსებობს, ის დღეს ამ ზღაპრული სიმშვენიერის ღამეს, ამ დიად ქედზე უნდა გამოჩნდეს მთვარის შუქზე მოსიარულე“.

სტაინბეკი უდიდესი აღფრთოვანებით აღწერს საქართველოს უძველეს დედა ქალაქ მცხეთას და მე-5-ე საუკუნეში აშენებულ და დღეს უკვე ნახევრად ჩამონგრეულ ტაძარს და მონასტერს. იგი მწერალთა კავშირსაც მიუწვევია ერთ ბანკეტზე, სადაც თურმე ერთმა მოხსენება წაიკითხა: ქართული ლიტერატურის ისტორიაზე, მაგრამ სტაინბეკი იმდენად ყოფილა დარწმუნებული, რომ იქ ინგლისური არავის ეცოდინებოდა, რომ ყურსაც არ უგდებდა „მხოლოდ გვიან შევნიშნე, რომ მომხსენებელი ინგლისურად ლაპარაკობდაო“. ბათუმის სუბტროპიკულ ჰავას და მცენარეებს, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოუხდენია ამერიკელ მწერალზე და მან ეს მხარე, მარად ყვავილოვან ფლორიდას შეადარა. არა ნაკლები აღტაცებით აღწერს ქართულ ქეიფს, რომელიც მისთვის მწერლებსა და ხელოვნებს მოუწყვიათ. განცვიფრებულია მთელ მსოფლიოში არ ნახული სუფრის სილამაზით და თამადის როლით და დანიშნულებით. სიტყვები, ცეკვა, მუსიკა! მას თვითონ, ალბად მაღალ ექსტაზში, უცეკვია ერთ ქართველ ქალთან და მხოლოდ შემდეგ შეუტყვია, რომ ის ქალი განთქმული მოცეკვავე ყოფილა.

საქართველოს სილამაზით და ქართველების სტუმართმოყვარეობით დამტკბარ უცხო სტუმრებს ზღაპრულ მოჩვენებათა ბურუსში დაუტოვებიათ ტფილისი.

„მატარებელში ძალიან ცხელოდა — ამბობს სტაინბეკი — ამიტომ გავაღეთ ფანჯარა. დაუყონებლივ მოვარდნენ სამხედრო პირები და დახურეს. ჩვენ კვლავ გავაღეთ. მაგრამ როგორც ჩანს ისინი მიხვდნენ, რომ აჯანყებას ვაპირობდით და ისევ მოვარდნენ. დაგვიწყეს ყვირილი რუსულ ენაზე, სახეში თითის ქნევა და ფანჯარა კვლავ დაგვიხურეს. ჩვენ მოვერიდეთ ცხვირის წინ თითის ქნევის განმეორებას და შევურიგდით ბედს, რომ გვემგზავრა დახურული ფანჯრით და გვეღვარა ოფლი. თურმე, თუ რუსები რამეს დააწესებენ შეუძლებელია მისი დარღვევა და ამიტომ რკინის გზის მუშაკების წყრომა იმდენად დიდი იყო. თითქოს ათი წლის ციხე მოგველოდა ფანჯრის გაღების გამო“.

საქართველოს ენთუზიასტს არ გამოეპარა იქ გაბატონებული რუსული წესები და მისი აღმასრულებელი რუს ჯარის კაცთა მოუქნელობა.

---

— მაშ ქართულ წრეებში დღეს ლაპარაკობენ არტაანის და ართვინის დაბრუნებაზე? — დაჟინებით დამეკითხა ემინ ფაშა. (აქ მამედ ალიმ მიყო ნიშანი). — დღეს ვერ ილაპარაკებენ ამაზე, რადგან უმიზნოა. ყველაფერი უნდა მოსკოვის ჯამში ჩავარდეს. მაგრამ ქართველებს იმედი აქვთ, რომ თუ საქართველოსათვისაც გამოიდარა, თურქეთი ეცდება ქართული ლობე გაამაგროს და ის აგურნი, რომელიც მან ამ ლობეს გამოაცალა უკანვე დაალაგოს და დუღაბითაც შეკრას! — ამ სიტყვებზე ემინ ფაშამ გაიღიმა, მოუბრუნდა მამედ ალის და უთხრა: — ეს ქართველები არა მარტო კაი მხედრები ყოფილან, კაი პოლიტიკოსებიცო. ეს „აგურების“ დაბრუნება ძალიან მომწონს — და ემინ ფაშამ გულიანად გაიცინა.

— თქვენის აზრით სომხებს რამდენი აგური უნდა დავუბრუნოთ? — ასევე სიცილით შემეკითხა გამხიარულებული ფაშა.

— ჩვენში ნათქვამია: — „როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო“. — თუ გნებავთ რომ სომხობა შეირიგოთ და ჩრდილოეთის წინაალმდეგ პირი აქცევინოთ, უნდა დეუბრუნოთ, ცხადია, საკმაო მიწა წყალი მის ძველ კუთვნილებიდან. თქვენ ბევრი ცარიელი სივრცეები გაბადიათ დღეს და ეს არაფერს დააკლებს თქვენს ხალხს. სომხები გამუდმებულ, გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან თქვენთან ყველგან, რომელიც დიდ ზარალს გაყენებთ — და სამაგიეროდ მას შეაჩერებენ. ჩვენც კავკასიელებს, მოგვეცემა საშუალება ეს მეოთხე მოკავშირეც კავკასიურ ანსამბლში შევიყვანოთ. თურქეთი ამით მხოლოდ მოიგებს.

— ელაპარაკეთ ამაზე ვისმეს ჩვენი მთავრობის წრეებიდან? — დამეკითხა თურქი..

— არა პირველად მხოლოდ თქვენ მოგახსენებთ.

— ძალიან კარგია, რომ არავისთვის ჯერ არ გილაპარაკიათ ამ მტკივნეულ თემაზე, რადგან ამისათვის ყველა ჩვენი მართველნი არ არიან სათანადოთ მომზადებულნი და არც დრო დამდგარა ამ საკითხების მოვლისათვის. ჩემის მხრივ კი გეტყვით თქვენსავით გულახდილათ, რომ თქვენი აზრები ყველა საყურადღებოა, იგი ჩვენ თურქულ ინტერესებსაც ეგუება. ჩვენ და ქართველებს შორის მოსარიგებელი ბევრი არაფერი გვაქვს. მომავალში რაც შესაძლებელია — შესწორდება. მხოლოდ სომხებთან დავის გადაწყვეტა მარტო მატერიალური ხასიათისა არ არის. ფსიქოლოგიურიც ბევრი ურევია. 50 წელზე მეტი ვომობდით, ბევრი სისხლი დაიღვარა.. უნდა დრომ იარები შეკრას. რასაკვირველია სომხებსაც შეძლების დაგვარად დავაკმაყოფილებთ. მუდამ ხომ არ უნდა ვიყოთ ერთი მეორის მტრები. მიწებსაც მოუჭრით. ქართველების როლი ამ ჩვენ და სომხების შერიგებაში დიდია. ეცადეთ აქედანვე დააყენოთ სომხები კავკასიის ერთობის ხაზზე. ჩვენ თურქები ამაში ხელს აღარ შეგიშლით.. მერწმუნეთ: გაუგებრობის ხანა გავიდა. და თვალახილულები ვართ. ჩვენი ძველი თქმულება — „ძველი მტერი არას დროს მეგობრად არ გამოგადგებაო“ რუსეთზეა გამოჭრილი. დღევანდელი მეგობრობა მოსკოვ - ანგორისა — ეს, პოლიტიკაა. ევროპელების შესაძლებელ ინტერვენციის წინაალმდეგ ჩვენ გვესაჭიროება დღეს წითელი რუსეთი, როგორც მას ესაჭიროება ახალი თურქეთი. მოთავდება ეს ხანა და შეიძლება რუსეთმა კვლავ პირველმა შემოგვიტიოს... და ფაშა ფეხზე წამოდგა....

— ნახვამდის მაგარო ქართველო... იყავი მხნედ... ინშალაჰ! — და ემინ ფაშამ მაგრად ჩამოგვართვა ხელი და მიგვაცილა გასავალ კარებამდე...

გამოვედი კარს.. გავშორდი ციხის გალავანს... დაგვიბერა ყინულიან ქარმა, მამედ ალის სიცივისაგან გალურჯებული ტუჩები რაღაცას ბუტბუტებდნენ.

— რაზე ფიქრობ ჩემო კეთილო მამედ ალი? ვჰკითხე მას.

— ახლა ვფიქრობ იმაზე არჩილ ბეგ, რომ „დროის მოლოდინში“ თვით თურქებს არ გამოეცალოთ საკუთარი ძირის ყველა აგურები.

1926 წ. ოქტომბერი. დ. ვაჩნაძე

---

## მარქსიზმი-ლენინიზმი-სტალინიზმი

**5. პროლეტარიზმი მარქსის მიხედვით.**

ლენინმა, გააბნია რა მარქსის და ენგელსის მიერ წამოყენებული დეკლარაციური ხასიათის დებულებები და გამოთქმები, თავის მხრივ უმატებს: „პროლეტარული დემოკრატია, რომელსაც წარმოადგენს საბჭოთა მმართველობა, არის დემოკრატიის ერთი ფორმათაგანი, და სწორედ მან მოგვცა ჩვენ დემოკრატიის საფუძვლის ჯერ არ ნახული, გიგანტიური გაფართოება მშრომელთა უმრავლესობის სასარგებლოდ. გადავხედოთ ჩვენს საგარეო პოლიტიკას. არც ერთ სახელმწიფოში არ სწარმოებს იგი ახდილად. საბჭოთა ხელისუფლებამ რევოლუციურად ჩამოგლიჯა ფარდა საიდუმლო დიპლომატიას. საბჭოთა დემოკრატია მილიონჯერ დემოკრატიულია კაუცკის დემოკრატიაზე“. (ლენინი სწერდა ამას 1918 წელს, დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო და თავისი თვალით ენახა რა სახე მისცა სტალინმა და ახლაც როგორ განაგრძობენ დიქტატორის მემკვიდრენი, თვით გაეცინებოდა თავის სიტყვებზე!). „კაუცკი, სულელი მეცნიერივით განსწავლილი, ანუ ათი წლის გულუბრყვილო გოგოსავით, გვეკითხება: — რაღათ გესაჭიროებოდათ დიქტატურა, თუ უმრავლესობა თქვენს მხარეზეა?“ მარქსი და ენგელსი კი მას უპასუხებენ: „იმიტომ, რომ ბურჟუაზიის წინაალმდეგობა ალვკვეთოთ, იმიტომ, რომ ვაგრძნობინოთ მას რევოლუციის წინაშე შიში, იმიტომ, რომ გავაძლიეროთ შეიარაღებული ხალხის ავტორიტეტი ბურჟუაზიის თვალში. იმიტომ, რომ პროლეტარიატმა შესძლოს თავისი მოწინაალმდეგის ძალით დამორჩილება.“ (გვ. 50).

სხვა ადგილას ლენინი ასე მეტყველებს: „ექსპლოატატორების დამარცხება შეიძლება ერთის დაკვრით აჯანყებული ჯარისკაცების შემწეობით ცენტრში. ხოლო მათი სრულიად გაქრობა არ შეიძლება. არ შეიძლება ექსპროპრიაცია, რომელიმე დიდ ქვეყანაში, მემამულებისა და კაპიტალისტებისა ერთბაშად. (სტალინმა დაამტკიცა, რომ შეიძლება; რა არ შეუძლია ყაჩაღს თუ შემთხვევა მიეცა ცარცვისა?!) ...„შემდეგ — მარტო ექსპროპრიაცია ან პოლიტიკური აქტი საქმეს არა სწყვეტს, რადგან საჭიროა მყვლეფელთა ფაქტიური გადაყენება მმართველობიდან, მათი შეცვლა სხვებით, ფაბრიკა-ქარხნებში და მამულებში მუშათა მმართველობის შემოღებით. არ შეიძლება იყოს თანასწორობა მყვლეფელთა, რომელნიც საუკუნოების მანძილზე განირჩევიან თავიანთი ცოდნით და განათლებით — და გაყვლეფილთა შორის; რომლის მასა ბნელია, გაუნათლებელი, უზნეო და დაქსაქსული. ექსპლოატატორები გადატრიალების შემდეგაც ინარჩუნებენ მთელ რიგ უპირატესობას. მათ ხელში რჩება ფული, ფულის მოსპობა ერთბაშად არ შეიძლება. მათ ხელში რჩება უძრავი ქონება, კავშირები, ორგანიზაციის და მართველობის გამოცდილება, უმაღლესი განათლება, სიახლოვე ტეხნიკურად გამოცდილ პერსონალთან და განუზომელი ცოდნა სამხედრო საქმისა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია“ და სხვა. (გვ. 5).

მეორე ადგილას ლენინი ასე განაგრძობს: „პროლეტარიატი ეუბნება ბურჟუაზიას, ჩვენ გიჭერთ თქვენ სიტყვაში (ენგელსის გამოთქმით) და მოვითხოვთ თქვენგან ბურჟუაზიული დემოკრატიის გაფართოვებას, რათა მოვამზადოთ მუშათა კლასი რევოლუციისათვის თქვენს გასანადგურებლად. და თუ თქვენ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწევთ წინააღმდეგობას ჩვენს პროლეტარულ რევოლუციას, ჩვენ შეუბრალებლად მოგსპობთ :ყოველგვარ უფლებას წაგართმევთ. ეს კიდევ ცოტაა, ჩვენ არ მოგცემთ პურს, წყალს და სხ.. — ვკითხულობთ ლენინის ასეთ ნაწყვეტებს და უნებლიეთ წინ გვიდგება ადამიანი შეშლილი სახით... ის განაგრძობს: „დიქტატურა არ ნიშნავს აუცილებლად დემოკრატიის მოსპობას იმ კლასისათვის, რომელიც დიქტატურას ანხორციელებს, ხოლო ის აუცილებლად ნიშნავს დემოკრატიის მოსპობას იმ კლასისათვის, რომლის წინააღმდეგ ხორციელდება დიქტატურა“. (გვ. 19).

დასავლეთის სოციალისტების საყვედურის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლება ულმერთოდ იქცევა, სპობს დემოკრატიასა და თავისუფლებას — გაბოროტებული ლენინი ასე უპასუხებს: „რას ვაქნევთ გახრწნილ რენეგატების საყვედურებს იმის გამო რომ ჩვენ წავართვით ბურჟუაზიას საარჩევნო უფლება... ეს კარგია, ვინაიდან აჩქარებს და აღრმავებს განხეთქილებას რევოლუციურ მუშათა კლასსა და შეიდემანებისა და კაუცკების შორის გერმანიაში, რენოდელებისა საფრანგეთში, ჰენდერსონისა და მაკდონალდისა ინგლისში. — ძველ მეთაურთა, და დღეს სოციალიზმის მოღალატეთა შორისო“. (გვ. 99).

ჩვენ განზრახ ამოვწერეთ ლენინის აღნიშნული ადგილები. მას 1918 წელს კიდევ სწამდა, რომ რუსეთის „პროლეტარული რევოლუციის“ ტალღები მოეფინება არა მარტო ევროპას, არამედ მთელ მსოფლიოს ცეცხლის ალში გახვევდა და ამიტომ გამარჯვებული ასე უსწორდება კაუცკის: „ 5 აგვისტოს, 1917 წ. როდესაც კაუცკი სწერდა თავის შრომას, შეეძლო არ შეემჩნია ფაქტი ისეთ ადამიანს, რომელსაც ეშინია რევოლუციის, რომელმაც უღალატა მას. ახლა კი, 1917 წლის დასასრულს, ყველასათვის დასანახად, მთელ რიგ ქვეყნებში ძლიერდება რევოლუცია და ძალიან სწრაფადაც. „რევოლუციონერი“ კაუცკი, რომელსაც სურს რომ ძველებურად მარქსისტი ვუწოდოთ, ისეთი ფილისტერი აღმოჩნდა, რომელსაც მარქსი თავის დროზე დასცინოდა, რომ ვერ ამჩნევს სოციალისტური რევოლუციის მოახლოვებასო. (გვ. 133).

ყველაზე საინტერესოა, რომ ლენინი იმავე შრომაში სასტიკად უსწორდება საფრანგეთის გამოჩენილ რევოლუციონერს ლუი ბლანს იმის გამო, რომ მას დეკრეტით სურდა გლეხობის მოსპობა, როცა ამისათვის ნიადაგი ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული. ანტაგონიზმი გლეხთა შორის არ იყო შეტანილი; თუმცა პრინციპიალურად მას ეთანხმება, რომ გლეხობა, როგორც კლასი, წვრილ ბურჟუაზიული, რეაქციონური ფენაა დღევანდელი საზოგადოებისა, რომლის მოსპობა აუცილებელია.

ლენინი სწერს ამის გამო ასე: „სწორედ ჩვენ ბოლშევიკებმა, გარკვევით აღვნიშნეთ განსხვავება წმინდა ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რევოლუციასა და სოციალისტურის შორის. ჩვენ გლეხობის საშუალებით მივიყვანეთ რა ბოლომდე პირველი, კარი გავუღეთ მეორეს, გასამარჯვებლად.“

კაუცკის შენიშვნაზე, რომ „გლეხობა არას დროს და არსად თავის ნებით, ან თეორიული არგუმენტების წყალობით არ გადასულა კოლექტიურ მეურნეობაზე“, ლენინი შენიშნავს ასე: „ძალიან მოსწრებულად არის ნათქვამი! მხოლოდ არსად და არასოდეს გლეხობა არ ყოფილა პროლეტარისებური. არსად წვრილი ულარიბესი გლეხობა არ აწარმოებდა ხელჩართულ ბრძოლას მდიდარი გლეხობის წინააღმდეგ, სამოქალაქო ომის გაჩაღებამდე, რომელსაც მხარს უმაგრებდა პროლეტარული ხელისუფლება პროპაგანდით, ეკონომიური ღონისძიებით, პოლიტიკური და თვით სამხედრო დახმარებით“ (გვ. 154).

როგორც ვხედავთ, ლენინი აღარ მალავს და ამგვარად აღვიარებს, რომ თანახმად მარქსიზმის მოძღვრებისა, როგორც მას ესმოდა, ბოლშევიკები სოფლად იწვევდნენ სამოქალაქო ომს, ხელოვნურად შეჰქონდათ ანტაგონიზმი სოფლად და აღვივებდნენ ადამიანის ქვენა გრძნობებს. და ვინაიდგან პროპაგანდა, ეკონომიური ძალდატანება და სხვა ზომები ვერას შველოდა — და ვერც უშველიდა — მიმართავდნენ სახელმწიფო აპარატს, ჩეკას და სოფლად შეიარაღებული რაზმების გაგზავნას. მერე ვის წინააღმდეგ, იმ გლეხობისა, რომელსაც შეეძლო მოეწოდებინა ქალაქებისათვის სასმელ საჭმელი და არსებობის საშუალება. შედეგად ასეთი ფანატიკური და ველური ზომებისა, სოფლის ტოტალური გალატაკება, ქალაქებში აუწერელი სიმშილი, მასიური კაცის ჭამიობა, კონსტაცის აჯანყება და მოსახლეობის დაღუპვის პირამდე მიყვანა, რომელიც მიზეზი გახდა თვით ლენინის უკან დახევისა და ცნობილი „ნეპის“ შემოღებისა. ეს იყო უდიდესი უკან დახევა, იდეური და თვალდასანახი გაკოტრება ლენინის „სოციალისტური რევოლუციისა. ხოლო ეს კია, რომ მან ასეთი სამარცხვინო უკანდახევის გასამართლებლად გამოიგონა ახალი თეორია იმის შესახებ, რომ „პროლეტარიატი თავისი რევოლუციურ წინსვლაში საბოლოო მიზნის მისაღწევად, ხან და ხან საჭიროებს მიხვეულ მოხვეული გზებით სიარულს“!..

ლენინის მიმდევარნი, „სოციალისტური რევოლუციის“ ასეთი პერსპექტივით შეწუხდნენ, ეჭვები შეეპარათ, ხოლო ბოლშევიზმის პირველი მოციქული მათ ასე ამშვიდებს: „შეხედეთ ამხანაგებო! მთის მწვერვალს, მისკენ მიმავალი გზა პირდაპირი კი არ არის, არამედ მიხვეულ მოხვეული, ხოლო რამდენადაც ჩვენ გვიხდება დაბლა დაშვება, იმდენად ვუახლოვდებით უკანასკნელ მიზანს, მთის მწვერვალს“.

ამ მომენტიდან ლენინის მიმდევარნი, იმედდაკარგულნი, დარწმუნდნენ, რომ გზა სოციალიზმისაკენ გრძელი და ეკლიანი იყო. საჭირო დარჩა ცდა ამ დროს განმავლობაში დარჩენილ „კაპიტალისტების და მემამულეების“ სრული განადგურაბა. ეს შავი საქმე კი გაცილებით ადვილი გამოდგა.

ასეთი მდგომარეობის გამო, კაუცკის შენიშვნაზე, რომ „საეჭვოა, მიიღო თუ არა მუშათა კლასმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით „რევოლუციის მონაპოვართა“ სახით იმაზე მეტი, რაც მას შეეძლო დამფუძნებელი ყრილობის საშუალებით,“ — ლენინი უპასუხებს: „კადეტებმა და ბურჟუაზიულ წრეებმა რუსეთში შეგვაჩვიეს ასეთ მსჯელობას: „აბა, მოგვეცით ახლავე ხალხის კეთილდღეობა, უკეთესი ცხოვრება და ამას მოითხოვენ ჩვენგან რევოლუციის 9 თვის შემდეგ, როდესაც ქვეყანა 4 წლის საშინელი და გამანადგურებელი ომის გამო დაღუპვის წინ იდგა“. ლენინი აქ არ იხსენიებს მის მიერვე გამოწვეულ სამოქალაქო ომს, რომელიც უფრო მეტად ანადგურებდა და სპობდა მოსახლეობის კეთილდღეობას.

ლენინს ამ დროს, ჯერ კიდევ სწამს, რომ დასძლევს სიძნელეებს, ამიტომ თავის ბროშურას ათავებს ასე: „უკანასკნელი სტრიქონები დაიწერა 9 ნოემბერს, 1918 წელს. ამავე დღის ღამით მივიღეთ დეპეშა გერმანიაში რევოლუციის დაწყებისა, პირველად კილში და ზოგიერთი, ზღვის სანაპირო ქალაქებში და შემდეგ თვით ბერლინში, სადაც ძალა-უფლება გადავიდა თვით მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების ხელში. დასკვნა, რომელიც უნდა დამეწერა კაუცკის წიგნის გამო, ახლა უკვე ზედმეტია“.. (გვ. 164).

ლენინის იმედი ევროპის რევოლუციაზე არ გამართლდა. მართალია, მოისპო ვილჰელმ მეორის იმპერია, დუნაის მონარქია, ისე როგორც ნიკოლოზ მეორის იმპერია, მაგრამ ახალ ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ არა ლენინის მომხრეები, არამედ მის მიერ სოციალიზმის მოღალატედ მონათლული, იგივე შეიდემანი, ებერტი და კაუცკი.

ევროპის სოციალისტების კრიტიკა მიიმართა ბოლშევიზმის პრაქტიკის წინააღმდეგ, რომელიც უფრო უშლიდა „მუშათა კლასის“ გაერთიანებას ერთი დროშის ქვეშ, ვიდრე ხელს უწყობდა და თვით ლენინიც თუ 1918 წელს თავის კრიტიკას მიმართავდა დასავლეთის წინააღმდეგ, შემდეგ წლებში, უკვე ლოგინზე მიკრული და იმედ გადაწყვეტილი, მწარე კრიტიკას აწარმოებს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და მისი პრაქტიკის წინააღმდეგ.

დ. საღირაშვილი.

## დიდი მოსაგონებელი დღე.

ამ წელს სრულდება ჩვენი დიდი და სათაყვანებელი ილიას დაბადებიდან 120 და გარდაცვალებიდან 50 წლის თავი. დღეს მთელი ქართველი ერი უდიდესი ენტუზიაზმით იგონებს ჩვენი ერის ამ უდიდესი მოამაგის ხსოვნას. იმედი გვაქვს რომ არც ემიგრაცია ჩამორჩება და სათანადოდ აღნიშნავს ამ დღეს.

პარიზში, უკვე რამდენიმე თვის წინ შესდგა სპეციალური კომისია, რომელიც შეეცდება რაც შეიძლება ბრწყინვალედ აღნიშნოს ის.

პარიზში საიუბილეო სხდომა გაიმართება ამა წლის პირველ დეკემბერს.

სხდომაზე რამოდენიმე მოხსენებით დაფასებული იქნება დიდი ადამიანის შემოქმედება და მოღვაწეობა. წაკითხულ იქნება მისი ნაწერების ნიმუშები და დასასრულ წაკითხულ იქნება სრული ინფორმაცია ილია ჭავჭავაძის სიკვდილისა და დაკრძალვის შესახებ.

ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ სხვა ქვეყნებში მყოფი ქართველი ემიგრანტები არ ჩამორჩებიან მოძმე პარიზელებს და ყველგან მონდომებით და ღირსეულად აღნიშნავენ ამ დღეს.

## წერილი მიუნხენიდან

**ქვემოდ მოყვანილი სიტყვა პროფ. ახმეტელისა, წარმოთქმული „კავკასიელების დამოუკიდებლობის დღეს“ მიუნხენში, ტეხნიკური მიზეზების გამო შეგვიანებით იბეჭდება. მაგრამ მას მაინც ვაქვეყნებთ, რადგან პროფ. ახმეტელი, არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ მსოფლიოში უდიდეს სპეციალისტად ითვლება, ამიტომ ქართველი საზოგადოებისათვის მისი სიტყვა და აზრი მუდამ საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება.**

**რედაქცია.**

ამა წლის 9 მაისს, „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ ოთხი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-39 წლ. თავის აღსანიშნავად მოწვეული იქმნა მიუნხენში საზეიმო თავშეყრილობა, რომელსაც დაესწრნენ მეზობელი ქვეყნების: უკრაინის, კაზაკიის, თურქესტანის, ბელორუსიის და სხ. დაპყრობილ სახელმწიფოების წარმომადგენლები. გერმანიის მხრივ კრებას პატივი სცა თავისი დასწრებით დოქტორ პრელმანმა, ბავარიის შრომის მინისტრის სტაინის რეფერენტმა.

საზეიმო თავყრილობა გახსნა ცნობილ პროფესორმა, ჩვენმა თანამემამულემ, ბ. მიხ. ახმეტელმა, რომელმაც დახვეწილ გერმანული ენით მცირე შესავალი სიტყვა წარმოსთქვა კავკასიის მნიშვნელობის შესახებ. აქვე მოგვყავს მისი მნიშვნელოვანი სიტყვა შემოკლებით: „დიდად პატივცემულნო სტუმრებო, ბატონებო და ქალბატონებო, ნება მომეცით კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის სახელით გულითადი მადლობა მოგახსენოთ ჩვენს საზეიმო კრებაზე დასწრებისათვის. კომიტეტი ფრიად ნასიამოვნებია, რომ მის მოწოდებას თქვენი დასწრებით ასე უხვად გამოეხმაურეთ.

დღევანდელი საზეიმო ყრილობა მიძღვნილია კავკასიის ხალხთა ოთხ რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-39 წლის თავის აღსანიშნავად.

1917 წ. მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ, კავკასიის ხალხებმა გამოაცხადეს თავიანთი დამოუკიდებლობა. ხოლო ისევ იმავე რუსეთმა, ახლა კი ბოლშევიკურმა, მათ დამოუკიდებლობას ისევ ბოლო მოუღო.

კავკასია, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთით კაზაკიის და კალმიკების შორის, სამხრეთით კი ჰყავს სპარსეთი და თურქეთი, უხსოვარ დროიდან წარმოადგენდა განსაკუთრებულ კულტურულ ფართობს. ჯერ კიდევ ასურთა მეფენი 12-8 საუკუნეებში ქ. წ. მოგვითხრობენ მათ თავგადასავალს. მე-5-4 ს-ში კავკასიის ხალხები დალაგებულნი არიან მათ დღევნდელ ტერიტორიაზე.

კავკასია წარმოადგენს ხალხთა დიდ გასავალ გზას და ხიდს ევროპისა და აზიის შორის. ანტიურ ქვეყნებთან კავკასიელები აწარმოებდნენ მტკიცე ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას. საბერძნეთისათვის კავკასია იყო შემაერთებელი ხიდი აზიასთან და თვით მითოლოგიურ პერიოდში კავკასია მისთვის შეიცავდა გარკვეულ ცნებას. რომთანაც კავკასიას ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდა...

რამდენიმე ათასეულ წელთა მანძილზე კავკასიის ხალხთა ბედი ერთად იყო გადაბმული. ამიტომ მოხდა მათი სრული დაახლოება არა მარტო პოლიტიკურად, არამედ კულტურულადა და ზნეჩვეულებებით. ამიტომ მთელმა კავკასიამ შეინახა თავისი საერთო თავისებურება. ასევე დაემართათ იმ ხალხებს ვინც შემდეგ ჩამოსახლდა. მათ შორის ებრაელობა, უკრაინელები, გერმანელები და სხ. და რომელნიც დღეს აგრეთვე კავკასიელებად სთვლიან თავიანთ თავს.

მეფის რუსეთის დაცემის შემდეგ კავკასიაში ჩამოყალიბდა ოთხი დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელთა მიდრეკილება იყო საბოლოოდ შეექმნათ ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთობა. მაგრამ მდგომარეობის შემდეგმა განვითარებამ მას ეს არ აცალა.

დღეს, საერთო უბედურებამ ეს ხალხები კიდევ მეტად დააახლოვა და ეს არის გარანტია მათი მომავალი გამარჯვებისა.

ვისურვოთ, რომ კავკასიის ხალხები კიდევ მოსწრებოდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას.“

პროფ. ახმეტელის შესავალი სიტყვის შემდეგ, მოხსენება წაიკითხა ბ. მაგომამ, კავკასიის რესპუბლიკების წარმოშობის, კონსოლიდაციის და მათი მოსკოვის მიერ კვლავ დაპყრობის ისტორიაზე. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ბ. პრელმანმა. (ამ მნიშვნელოვან სიტყვას შემდეგ გამოვაქვეყნებთ). შემდეგ სიტყვებით და მისალმებებით გამოვიდნენ ბოლშევიკების მიერ დაპყრობილი ერების წარმომადგენელნი.

დასარულ კავკასიის კომიტეტი სტუმრებს გაუმასპინძლდა პურ-მარილით და კრებას მისცა ინტიმური ხასიათი...

დამსწრე

## ცნობები საქართველოდან.

**პროფ. იარომირ იედლიჩკა,** რომელიც ამ ჟამად თბილისში იმყოფება სტუმრად, მასალებს ჰკრებს ქართული ლიტერატურიდან მის მიერ ნათარგმნ „ვეფხის-ტყაოსნის“ წინასიტყვაობისათვის. მან მწერლებთან საუბარში განაცხადა, რომ ქართული ენა შეისწავლა პარიზში (ხელაძის) გამოცემული ქართული „დედა-ენისა“ და ქართველი ემიგრანტების დახმარებით.

**მ. კახაძის ნაშრომები.** ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქ. მეც. აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტ. ინსტ. უფროსი თანამშრომელი მიხეილ კახაძე, მთელი რიგი შრომების ავტორია. მის კალამს ეკუთვნის: **„ლიპარიტ ლიპარიტისძე“**, მისი ახლად აღმოჩენილი თხზულება, ასტერი ამასიელის **„შესხმაი ფოკაისი“** და **„ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში“**.

ამას წინათ საქ. მეც. აკ. სახელზე ლონდონიდან მიღებულ იქმნა წერილი პროფ. ლანგისა, რომელიც კახაძის გამოცემულ წიგნზე, **„ბასილი დიდი: ექვსთა დღეთაი“** (გიორგი მთაწმინდელის თარგმანი), სწერს: ეს წიგნი ქართული კლასიკური ლიტერატურის ძვირფასი განძია, რომელიც გამოყენებულ იქნება აღმოსავლეთმცოდნეობის ჩვენი ქართული სექციის მუშაობაში.

**ი. გოგებაშვილის ხსოვნის აღნიშვნა.** საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში მოწყობილია მეცხრამეტე საუკუნის ქართ. ლიტერატურის გამოფენა, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი ცნობილი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს. ივნისის პირველ რიცხვებში ლიტერატურულ მუზეუმში მოეწყო იაკ. გოგებაშვილის გარდაცვალების 45 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

## † დავით ხელაძე.

**გარდაიცვალა ქართული წიგნისა და საერთოდ უცხოეთში ქართული გამომცემლობის დიდი მოამაგე დავით ხელაძე. ულრმეს სამძიმარს ვუცხადებთ მის ოჯახს და ნაცნობ- მეგობრებს.**

## პატარა პროვოკატორთა ასალაგმავად

ბოლშევიკ რუსი ღენერალის მიხაილოვის გაზეთის დამატებითი, ფურცელში „სამშობლოში დაბრუნებისათვის“, რომელიც ულირს „ქართველთ“ შეუთხზავთ და ჩვენდა სამარცხვინოდ ქართულის ასოებით დაუბეჭდიათ, სხვათა შორის მოთავსებულია ორი ყოვლად უნიჭო ლექსი, რომელსაც ხელს აწერს ვიღაც „ა. პ.“ (იხ. ფურცელი ნომ. 6).

ყოველგვარ გაუგებრობათა და ჩვენი ეროვნული საქმის ზოგ უჩინარ და ქვემძრომ მტერთა „გადაკრულ სისინის“ ასაცდენად, მინდა განვაცხადო, რომ მისტიურ „პოეტს“, რომელიც ამ „ა. პ.“-ეს უკან ლაჩრულად იმალება, და სააქართველოს ჯალათების პატარა აგენტი გამხდარა, მე არ ვიცნობ და არც რაიმე სურვილი მაქვს მას ვიცნობდე.

ქართული პატრიოტული საქმის ერთგულნი, ზოგიერთი ჩემი მეგობრები, ამასთან დაკავშირებით, მაუწყებენ, რომ ეს უბადრუკი ლექსები განგებაა მოწერილი „ა. პ.“-ის ინიციალებით, რათა მისმა ავტორმა, პატარა პროვოკატორმა, ჩემს სამწერლო და პოლიტიკურ ეროვნულ მუშაობას რაიმე ჩრდილი მიაყენეონ.

ამასთან მინდა მოგახსენოთ, რომ ამგვარ პატარა „პოეტების“ ნაჯახირევი და ულირსი ყეფა-სისინი ბნელ პიროვნებათა, რომლებიც თვისი მბრძანებლების მორიგ დაკვეთას ასრულებენ, მე ჩემს გზას — საქართველოს განთავისუფლებისათვის სპეტაკ სამსახურისას, ოდნავადაც ვერ ამაცდენენ; ხოლო ვინაც ამ სტრიქონების დამწერის წარსულს იცნობს, მისთვის ყოველივე ნათელია და რაიმე განმარტებას არ საჭიროებს...

აკაკი პაპავა

EDITORIAL BOARD Dr. G. Gabliani,
S. Kaishauri. G. Lolua,
G. Zaldastani, V. Sangulia.
EDITOR IN CHIEF: D. Sindikeli.
12-29—120 St. College Point. L. I.
Directeur résponsable
Ch. Kalandadzé

Impr. de Navarre. 11. rue des Cordelières. Paris